

მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის მეორე ეტაპის მიმოხილვა

2013 წლის 8 სექტემბერს საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ მართლმსაჯულების სისტემის რეფორმისთვის გამიზნული საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი წარადგინა, რითიც, სამინისტროს წარმომადგენლების განცხადებით, მათ სასამართლო სისტემის რეფორმის მეორე ეტაპი დაიწყო. იუსტიციის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ცვლილებები, რომელიც სასამართლო ხელისუფლების მნიშვნელოვანი საკითხების რეფორმირებას ისახავს მიზნად, საერთო ჯამში, დადებითად უნდა შეფასდეს, ვინაიდან ისინი სასამართლოს დამოუკიდებლობის გარანტიების ზრდას, ინდივიდუალური მოსამართლის როლის გაძლიერებას, დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის დახვეწას, სასამართლოებში თავმჯდომარეთა არჩევის დემოკრატიული წესის დამკვიდრებასა და იუსტიციის უმაღლესი სკოლის რეფორმირებას ისახავს მიზნად.¹ ამასთან, აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია მოსამართლეთა დანიშვნის წესმა, კერძოდ, მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნამდე მათი სამწლიანი გამოსაცდელი ვადით თანამდებობაზე გამწესების და, ასევე, ამ სამწლიანი ვადის გასვლის შემდეგ მათი შეაფასების საკითხმა.

იუსტიციის სამინისტროს პარალელურად, ცვლილებები უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ინიციატივით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრების ნაწილმაც მოამზადა. სასამართლო სისტემის წარმომადგენლების განმარტებით, ცვლილებები განპირობებულია სისტემის სუსტი მხარეების გაძლიერების სურვილით. ამ კანონპროექტის ძირითადი მიმართულება მოსამართლეთა სოციალური დაცვის საკითხის მოწესრიგება, იუსტიციის სკოლის რეფორმა და მოსამართლეთა დანიშვნის წესის განსაზღვრა იყო.

ასევე, საქართველოს პარლამენტმა 2013 წლის 4 ოქტომბერს დაამტკიცა ცვლილებები საერთო სასამართლოთა შესახებ ორგანულ კანონში. მათი მიზანი იყო „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საქართველოს კონსტიტუციის ახალ ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანა. კანონი 2013 წლის 17 ნოემბერს, ახალი პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან შევიდა ძალაში.

წინამდებარე ანგარიშის მიზანია საზოგადოებას გააცნოს სხვადასხვა უწყების მიერ წარმოდგენილი მნიშვნელოვანი ცვლილებების ნაწილი. ამასთანავე, წარმოგიდგენთ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ პოზიციას მნიშვნელოვან ცვლილებებთან დაკავშირებით.

¹ ცვლილებები შემდეგ კანონებს შეეხება: საერთო სასამართლოების შესახებ, საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ, იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ.

ცვლილებები საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში

მუხლი 7. მოსამართლის დამოუკიდებლობა

მოქმედი რეგულაცია:

აღნიშნული მუხლი ჩამოთვლის იმ საფუძვლებს, რომლებზე დაყრდნობითაც მოსამართლე იღებს გადაწყვეტილებას. მუხლი ასევე მიუთითებს, რომ „არავის არა აქვს უფლება, მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.“

იუსტიციის სამინისტროს პროექტის მიხედვით:

მე-7 მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადება ჩამოყალიბდება შემდეგი სახით: „არავის არა აქვს უფლება, მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში ან მიუთითოს, თუ როგორი გადაწყვეტილება მიიღოს კონკრეტულ საქმეზე.“

ჩვენი მოსაზრება:

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ცვლილება ზოგადი სახის დამატებითი რეგულაციაა, რომელიც მიმართულია მოსამართლის საქმიანობაში ჩაურევლობის პრინციპის გაძლიერებისკენ. ამასთანავე, იუსტიციის სამინისტროს მიერ შემოთავაზებული ფორმულირება უკეთესად შეესაბამა საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლს. შესაბამისად აღნიშნულ ცვლილებას დადებითად ვაფასებთ.

მუხლი 18. უზენაესი სასამართლოს პლენუმი

მოქმედი რეგულაცია:

უზენაესი სასამართლოს ადმინისტრირების ერთ-ერთ ინსტიტუტს წარმოადგენს პლენუმი. კანონის დღეს მოქმედი რედაქციით პლენუმის შემადგენლობაში შედიან უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, მისი პირველი მოადგილე და მოადგილეები, უზენაესი სასამართლოს წევრები და სააპელაციო სასამართლოების თავმჯდომარეები.

2013 წლის 17 ნოემბრამდე მოქმედი რეგულაცია:

პლენუმი საქართველოს პარლამენტისთვის იმპიჩმენტის საქმეზე პირის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის ან არ არსებობის შესახებ დასკვნას გასცემს.

იუსტიციის სამინისტროს პროექტის მიხედვით:

უზენაესი სასამართლოს პლენუმის შემადგენლობაში აღარ შევლენ სააპელაციო სასამართლოების თავმჯდომარეები, შესაბამისად პლენუმი მხოლოდ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთაგან დაკომპლექტდება.

დეპუტატ შალვა შავგულიძის კანონპროექტის მიხედვით:

პლენუმის ერთერთ ფუნქციას კანონის 17 ნომბრამდე მოქმედი რედაქციით საქართველოს პარლამენტისთვის იმპიჩმენტის საქმეზე პირის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის ან არ არსებობის შესახებ დასკვნის მიცემა წარმოადგენდა. პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტის შესაბამისად პლენუმს ეს უფლება აღარ შეუნარჩუნდება.

ჩვენი მოსაზრება:

პლენუმის შემადგენლობიდან სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეების ამორიცხვა შესაძლოა გამართლებული იყოს. ვინაიდან პლენუმი წარმოადგენს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრირების ინსტიტუტს, რომლის უფლებამოსილებების უდიდესი ნაწილი დაკავშირებულია უზენაესი სასამართლოს ფუნქციონირებასთან, შესაძლოა დაბალი ინსტანციის სასამართლოს წარმომადგენლების მონაწილეობა პლენუმის მიერ წარმართულ პროცესებში არ წარმოადგენს აუცილებლობას. მაგალითად, პლენუმი გადაწყვეტილებებს იღებს ისეთ საკითხებზე, როგორცაა უზენაესი სასამართლოს პალატების დაკომპლექტება, პალატების თავმჯდომარეების არჩევა, უზენაესი სასამართლოს წევრის თანამდებობრივი სარგოს დანამატის დადგენა, უზენაესი სასამართლოს პალატების თავმჯდომარეებისა და აპარატის წევრების ანგარიშები და ა.შ. მიგვაჩნია, რომ ლოგიკურია ამ პროცესიდან სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეების ამორიცხვა.

დეპუტატ შალვა შავგულიძის მიერ ინიცირებული ცვლილებები განპირობებულია კონსტიტუციაში შესული ცვლილებებით. ვინაიდან, საქართველოს კონსტიტუციის ახალი ნორმების თანახმად, იმპიჩმენტის შესახებ დასკვნის მომზადება მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს პრეროგატივა ხდება. ახალი კონსტიტუციური ნორმის ამოქმედებით ძველი ნორმა ძალას კარგავს და შედეგად უზენაესი სასამართლო იმპიჩმენტის საკითხებში დასკვნას ვეღარ გასცემს.

მუხლი 19. უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა

მოქმედი რეგულაცია:

სადისციპლინო პალატის წევრის გათავისუფლების უფლება აქვს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს.

იუსტიციის სამინისტროს პროექტის მიხედვით:

სადისციპლინო პალატის წევრს გაათავისუფლებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე უზენაესი სასამართლოს პლენუმის თანხმობით.

ჩვენი მოსაზრება:

მიგვაჩნია, რომ ცვლილება ხელს შეუწყობს სასამართლო სისტემის ფარგლებში ძალაუფლების დეცენტრალიზაციას. სადისციპლინო პალატა მნიშვნელოვანი ორგანოა უზენაესი სასამართლოს

სისტემაში. მისი ფუნქციაა სადისციპლინო კოლეგიის მიერ მოსამართლეების მიმართ დისციპლინური დევნის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების გადახედვა. შესაბამისად, აუცილებელია, რომ სადისციპლინო პალატის წევრები იყვნენ ობიექტურები საქმის განხილვაში, რაც მათი დამოუკიდებლობის გარანტიების გაძლიერების გარეშე რისკის ქვეშ დგას. მიზანშეწონილი ვერ იქნება ისეთი სისტემა, სადაც სადისციპლინო პალატის წევრების გათავისუფლების უფლება მხოლოდ ერთ პიროვნებას გააჩნია. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ცვლილება დადებითი ნაბიჯია, რომელიც მიმართულია სადისციპლინო პალატის წევრების დამოუკიდებლობის გარანტიების ზრდისკენ.

მუხლი 21. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

მოქმედი რეგულაცია:

კანონში დღეს მოქმედი ჩანაწერის თანახმად უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე მოსამართლის მიმართ აღძრავს დისციპლინურ დევნას და ახორციელებს სხვა დისციპლინურ უფლებამოსილებებს.

იუსტიციის სამინისტროს პროექტი:

კანონპროექტის მიხედვით უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ახორციელებს „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს.

ჩვენი მოსაზრება:

სამინისტროს მიერ შემოთავაზებული კანონპროექტის შედეგად გაუმჯობესდება დისციპლინური სისტემის მართვა. ცვლილებები ასევე შედის „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში. შედეგად უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ამ ცვლილებებით აღარ ექნება უფლებამოსილება მოსამართლის მიმართ აღძრას დისციპლინური საქმე. სანაცვლოდ აღნიშნული უფლება მხოლოდ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს რჩება.

მუხლი 23. სააპელაციო სასამართლოს შემადგენლობა

მოქმედი რეგულაცია:

1. სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს და თავმჯდომარის მოადგილეს სააპელაციო სასამართლოს პალატების თავმჯდომარეებისგან **5 წლის ვადით** თანამდებობაზე **ნიშნავს და ათავისუფლებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.**
2. სააპელაციო სასამართლოს პალატებისა და საგამომიებო კოლეგიის თავმჯდომარეს შესაბამისი პალატისა და კოლეგიის შემადგენლობიდან **5 წლის ვადით** თანამდებობაზე **ნიშნავს** იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

3. იუსტიციის უმაღლესი საბჭო ასევე უფლებამოსილია სააპელაციო სასამართლოს, პალატის ან საგამომიებო კოლეგიის თავმჯდომარის დანიშვნამდე მისი უფლებამოსილების განხორციელება დააკისროს სააპელაციო სასამართლოს ერთერთ მოსამართლეს. იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია მოსამართლეს მისთვის დაკისრებული თავმჯდომარის უფლებამოსილება შეუწყვიტოს.

იუსტიციის სამინისტროს პროექტი:

1. სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს და თავმჯდომარის მოადგილეს სააპელაციო სასამართლოს პალატების თავმჯდომარეებისგან და სხვა მოსამართლეებისგან **სამი წლის ვადით ფარული კენჭისყრით** თანამდებობაზე აირჩევენ **სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეები**. კანდიდატის დასახელების უფლება ენიჭება სააპელაციო სასამართლოს ნებისმიერ მოსამართლეს.

2. სააპელაციო სასამართლოს პალატებისა და საგამომიებო კოლეგიის თავმჯდომარეს შესაბამისი პალატისა და კოლეგიის შემადგენლობიდან **3 წლის ვადით** თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

3. იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს, სასამართლოს პალატის ან საგამომიებო კოლეგიის თავმჯდომარეს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, ახალი კანდიდატის არჩევამდე ან დანიშვნამდე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის (თავმჯდომარის მოადგილის, სასამართლოს პალატის ან საგამომიებო კოლეგიის თავმჯდომარის) უფლებამოსილების განხორციელება შეიძლება დაეკისროს ამავე სასამართლოს ერთ-ერთ მოსამართლეს **არა უმეტეს ორი თვის ვადით**.

ამ ვადაში შესაბამისი სასამართლოს მოსამართლეებმა უნდა უზრუნველყონ სასამართლოს თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილის არჩევა, ხოლო საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უნდა უზრუნველყოს სასამართლოს პალატის ან საგამომიებო კოლეგიის თავმჯდომარის დანიშვნა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია შეუწყვიტოს მოვალეობის შემსრულებელ მოსამართლეს მისთვის დაკისრებული უფლებამოსილება დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში.

4. კანონპროექტი ასევე ადგენს სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, სასამართლოს პალატის ან საგამომიებო კოლეგიის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლებს. ესენია:

ა. პირადი განცხადება;

ბ. სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების შეწყვეტა;

გ. დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების სახით თანამდებობიდან გათავისუფლება;

დ. უფლებამოსილების ვადის გასვლა.

დეპუტატ შალვა შავგულიძის კანონპროექტის მიხედვით:

5. სააპელაციო სასამართლოს თითოეულ პალატას და საგამომიებო კოლეგიას ჰყავს თავმჯდომარე, რომელსაც შესაბამისი პალატისა და კოლეგიის შემადგენლობიდან 5 წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. თუ მოსამართლე უვადოდ არ არის დანიშნული, იგი თავმჯდომარედ დაინიშნება თავისი უფლებამოსილების ვადის ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს 5 წლის ვადისა.

6. სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარესა და თავმჯდომარის მოადგილეს პალატებისა და საგამომიებო კოლეგიის თავმჯდომარეთაგან 5 წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. თუ მოსამართლე უვადოდ არ არის დანიშნული, იგი თავმჯდომარედ ან **თავმჯდომარის მოადგილედ** დაინიშნება თავისი უფლებამოსილების ვადის ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს 5 წლის ვადისა.

ჩვენი მოსაზრება:

სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის არჩევნების შემოღება ცალსახად წინგადადგმული ნაბიჯია მოსამართლეთა ინდივიდუალური როლის გაძლიერების მიმართულებით. ამასთანავე, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის ფარული კენჭისყრით არჩევის დამკვიდრებით მნიშვნელოვნად იზრდება სასამართლოების მმართველობაში მოსამართლეთა ჩართულობა და უზრუნველყოფილია მათი ნების გამოვლენის თავისუფლება. შესაბამისად ადმინისტრაციული ფუნქციის არმქონე მოსამართლეები არჩევნების გზით ერთვებიან საკუთარი სასამართლოს საქმიანობაში და ნაწილობრივ პასუხისმგებლობასაც იღებენ ინსტიტუტის მართვაზე. მოსამართლეთა მიერ საკუთარი რიგებიდან თავმჯდომარის არჩევა განაპირობებს იმასაც, რომ არჩეული თავმჯდომარე იქნება ანგარიშვალდებული არა მხოლოდ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიმართ ან თუნდაც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიმართ, არამედ პირველ რიგში იმ მოსამართლეების მიმართ, რომლებმაც უზრუნველყვეს მისი არჩევა. ასეთი დემოკრატიული პრინციპის დამკვიდრება ხელს შეუწყობს სასამართლო სისტემაში დამკვიდრებული ვერტიკალური ანგარიშვალდებულებისა და ზოგადი მართვის წესის აღმოფხვრას. აღნიშნული [რეკომენდაციით](#) სასამართლო ხელისუფლება 2012 წელს არასამათავრობო ორგანიზაციათა კოალიციამაც მიმართა.

იუსტიციის სამინისტროს შემოთავაზებული ცვლილებით 5 წლიდან 3 წლამდე მცირდება თავმჯდომარეების უფლებამოსილების ვადა.

აღსანიშნავია, რომ იუსტიციის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ცვლილებების თანახმად პალატა/კოლეგიის თავმჯდომარეების დანიშვნა კვლავ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კომპეტენციად რჩება. მიგვაჩნია, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა ამ პოზიციის არჩევითობის შემოღება და ამ პროცესშიც მოსამართლეთა ჩართულობის უზრუნველყოფა.

3. იუსტიციის სამინისტროს კანონპროექტის მიხედვით სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს, სასამართლოს პალატის ან საგამომიებო კოლეგიის თავმჯდომარეს უფლებამოსილება ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში იუსტიციის უმაღლესი საბჭო ორი თვის ვადით ნიშნავს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს. აღნიშნული ცვლილება ცალსახად დადებითია. ამ კუთხით სასამართლო სისტემაში არსებობდა უარყოფითი პრაქტიკა. კერძოდ, 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებამდე სასამართლოთა უმეტესობაში თავმჯდომარე დანიშნული არ ყოფილა, სანაცვლოდ სასამართლოებში თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლები ახორციელებდნენ თავმჯდომარის უფლებამოსილებას. მოვალეობის შემსრულებლის დანიშნვა შესაძლებელი იყო უვადოდ. აღნიშნული პრაქტიკა წინააღმდეგობაში მოდის მოსამართლის დამოუკიდებლობასთან, ვინაიდან მოვალეობის შემსრულებელ პირს იუსტიციის საბჭოს გადაწყვეტილებით ნებისმიერ დროს შეიძლება ჩამორთმეოდა თავმჯდომარის მოვალეობების განხორციელების უფლება. ასეთი არასტაბილური მეთოდი ბადებდა ეჭვს, რომ ის სასამართლოს თავმჯდომარის კონტროლის ერთ-ერთ მექანიზმად გამოიყენებოდა. იუსტიციის სამინისტროს ცვლილებებით შეიზღუდა მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნის ვადაც და იგი ორი თვით განისაზღვრა. ცვლილებები იძლევა გარანტიას, რომ ერთის მხრივ ყოფილი თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტის ან ვადის ამოწურვის შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება სასამართლოში თავმჯდომარის არსებობა, რაც ადმინისტრაციის შეუფერხებლად მუშაობის გარანტიას წარმოადგენს, მეორეს მხრივ კი დადგინდა კონკრეტული ვადა (2 თვე) რომლის გასვლის შემდეგაც მოსამართლეებს ეძლევათ შესაძლებლობა თავად, საკუთარი შეხედულებისამებრ, აირჩიონ ახალი თავმჯდომარე.

4. პოზიტიურია ის ცვლილებაც, რომლითაც სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, სასამართლოს პალატის ან საგამომიებო კოლეგიის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლები დგინდება. აქამდე მოქმედ რედაქციაში ეს საფუძვლები არ იყო სრულყოფილი. შესაბამისად სამინისტროს მიერ შეთავაზებული ცვლილებები ლოგიკური და წინ გადადგმული ნაბიჯია, რომელიც აისახება სასამართლო სისტემის ადმინისტრირების სიცხადეზე და ზოგადად სისტემის მმართველობის სტაბილურობაზე. დადებითია ის ცვლილებაც, რომელიც იუსტიციის უმაღლეს საბჭოს უზღუდავს მოვალეობის შემსრულებლის ვადამდე უფლებამოსილების შეწყვეტას. აღნიშნული ცვლილებები საერთო ჯამში ხელს შეუწყობს სისტემის სტაბილურ მოქმედებასა და განვითარებას.

დეპუტატ შალვა შავგულიძის მიერ ინიცირებული ცვლილებების მთავარი მიზანია ორგანული კონონის შესაბამისობაში მოყვანა საქართველოს კონსტიტუციასთან. ამ კუთხით ის არ შეიცავს რაიმე სახის ძირეულ ცვლილებას. ცვლილებები ძალაში 2013 წლის 17 ნოემბერს შევიდა.

მუხლი 25. სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილება

მოქმედი რეგულაცია:

მუხლი ჩამოთვლის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილებებს, სადაც მითითებულია, რომ სასამართლოს თავმჯდომარე ამავდროულად არის ერთ ერთი პალატის ან

საგამოძიებო კოლეგიის თავმჯდომარე. მუხლი ასევე მიუთითებს, რომ თავმჯდომარე განსახილველად ანაწილებს სასამართლოში შემოსულ საქმეებს.

იუსტიციის სამინისტროს პროექტი:

იუსტიციის სამინისტროს მიერ შემოთავაზებული ცვლილება აკონკრეტებს, რომ თავმჯდომარე მონაწილეობს საქმეთა განხილვაში. ამასთანავე, ცვლილებით თავმჯდომარეს ერთმევა საქმეთა განსახილველად განაწილების უფლება და უქმდება ვალდებულება, რომ სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე უნდა აირჩეს პალატების და საგამოძიებო კოლეგიის თავმჯდომარეთაგან.

ჩვენი მოსაზრება:

მიგვაჩნია, რომ ცვლილება დადებითი სახისაა, ვინაიდან დღემდე პრობლემას წარმოადგენს სასამართლო თავმჯდომარეების მიერ საქმის განხილვაში მონაწილეობა. სამწუხაროდ არსებობენ სასამართლოს თავმჯდომარე მოსამართლეები, რომლებსაც დიდი პერიოდის განმავლობაში არც ერთი დავის განხილვაში არ მიუღიათ მონაწილეობა. უფრო მეტიც, სისტემაში დამკვიდრებულია სამწუხარო პრაქტიკა და მენტალიტეტი, რომელიც სასამართლო თავმჯდომარეს აღიქვამს, როგორც მოსამართლეთა უფროსს და მათ ხელმძღვანელს. სასამართლოს თავმჯდომარეებს წლების განმავლობაში სისტემის შიგნით მიენიჭათ გაცილებით მაღალი სტატუსი დანარჩენ მოსამართლეებთან მიმართებაში. აღნიშნული მიდგომები დაუშვებელია, ვინაიდან ისინი ძირეულად ეწინააღმდეგებიან მოსამართლის დამოუკიდებლობის პრინციპს. ყველა მოსამართლე საკუთარ საქმიანობაში დამოუკიდებელია და დაუშვებელია მასზე ნებისმიერი ფორმით, უშუალოდ თუ ირიბად ხელმძღვანელის დაწესება. ასევე დაუშვებელია მოსამართლეთა კლასიფიკაცია მათი სტატუსის შესაბამისად.

დადებითია ის ცვლილებაც, რომელიც სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარედ გახდომის შანსს პალატებისა და კოლეგიის თავმჯდომარეების გარდა სხვა მოსამართლეებსაც აძლევს. აღნიშნული კიდევ ერთი წარმატებული ნაბიჯია მოსამართლეთა სტატუსის გათანაბრებისკენ. ყველა მოსამართლეს მიეცემა შესაძლებლობა კენჭი იყაროს სასამართლოს თავმჯდომარის პოზიციაზე.

საქმეთა განაწილების არსებული წესი წლების მანძილზე ბევრ კითხვის ნიშანს ბადებდა. სასამართლოს თავმჯდომარეების მიერ აღნიშნული საკითხის დარეგულირება არ იყო სწორი მიდგომა. მიგვაჩნია, რომ სასამართლოებში უნდა დაინერგოს ელექტრონული საქმის განაწილების წესი. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დროულად უნდა მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება, უზრუნველყოს შესაბამისი პროგრამის შემუშავება და შემდგომ მისი სავალდებულო წესით დანერგვა ყველა სასამართლო სისტემაში.

მუხლი 26. სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის უფლებამოსილება

სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ამავდროულად თავმჯდომარეობს სასამართლოს ერთ-ერთ პალატას ან საგამოძიებო კოლეგიას.

იუსტიციის სამინისტროს პროექტი:

სააკველაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე იმავდროულად შეიძლება თავმჯდომარეობდეს სასამართლოს ერთ-ერთ პალატას ან საგამომიებო კოლეგიას. უქმდება ვალდებულება, რომ თავმჯდომარის მოადგილე უნდა იყოს პალატა/კოლეგიის თავმჯდომარე.

ჩვენი მოსაზრება:

აღნიშნული ცვლილება დადებითია, ვინაიდან იგი ხელს უწყობს მოსამართლეთა სტატუსის გათანაბრებას. ყველა მოსამართლეს თანაბრად ეძლევა შესაძლებლობა დაიკავოს ადმინისტრაციული ფუნქცია მის სასამართლოში.

მუხლი 32. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარე

მოქმედი რეგულაცია:

მოქმედი რეგულაციით რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარეს ამ სასამართლოს მოსამართლეთაგან, ხოლო იმ სასამართლოში, სადაც შექმნილია სასამართლო კოლეგიები, – სასამართლო კოლეგიათა თავმჯდომარეთაგან, 5 წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

იუსტიციის სამინისტროს კანონპროექტი:

რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარეს, ამ სასამართლოს მოსამართლეთაგან, ხოლო იმ სასამართლოში სადაც შექმნილია სასამართლო კოლეგიები, მათ შორის, კოლეგიების თავმჯდომარეთაგან, 3 წლის ვადით ფარული კენჭისყრით ირჩევენ ამავე სასამართლოს მოსამართლეები.

ჩვენი მოსაზრება:

წარმოდგენილი ცვლილება, ისევე როგორც სააკველაციო სასამართლოს შემთხვევაში, ცალსახად დადებითი ნაბიჯია. საქალაქო სასამართლოებში გაიზრდება მოსამართლეთა ჩართულობა სასამართლოს მართვის საქმეში, რაც მათი როლის ზრდას შეუწყობს ხელს.

იუსტიციის სამინისტროს შემოთავაზებული ცვლილებით 5 წლიდან 3 წლამდე მცირდება თავმჯდომარეების უფლებამოსილების ვადა.

ისევე როგორც სააკველაციო სასამართლოს შემთხვევაში, იუსტიციის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ცვლილებების თანახმად პალატა/კოლეგიის თავმჯდომარეების დანიშვნა კვლავ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კომპეტენციად რჩება. აქაც მიგვაჩნია, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა ამ პოზიციის არჩევითობის შემოღება და ამ პროცესშიც მოსამართლეთა ჩართულობის ზრდის უზრუნველყოფა.

მუხლი 36. მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნა (არჩევა)

მოქმედი რეგულაცია:

სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეს თანამდებობაზე 10 წლის ვადით ნიშნავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენელთა კანონპროექტი:

სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეს თანამდებობაზე უვადოდ, 65 წლის ასაკის მიღწევამდე, ნიშნავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

დეპუტატ შალვა შავგულიძის მიერ ინიცირებული კანონი

სააპელაციო და რაიონული/საქალაქო სასამართლოების მოსამართლეს თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. სააპელაციო და რაიონული/საქალაქო სასამართლოს მოსამართლე თანამდებობაზე გამწესდება 3 წლის ვადით. ამ ვადის ამოწურვამდე მოსამართლეს 3 ჯერ უტარდება მონიტორინგი, რომელსაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 3 სხვადასხვა წევრი ახორციელებს. მონიტორინგის შედეგები 3 წლიანი გამოსაცდელი ვადის დასრულებისას გადაეგზავნება იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, რომელიც მონიტორინგის შედეგების ანალიზის საფუძველზე იმსჯელებს და მიიღებს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, განამწესოს თუ არა მოცემული მოსამართლე თანამდებობაზე უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე მონიტორინგის პროცესში მოწმდება. კანონპროექტი არ ადგენს მონიტორინგის კრიტერიუმებს.

შენიშვნა: კანონპროექტი ძალაში შევიდა 2013 წლის 17 ნოემბერს.

ჩვენი მოსაზრება:

წარმოდგენილი ცვლილებები ნაწილობრივ გამომდინარეობს ახალ კონსტიტუციურ ნორმებთან კანონის შესაბამისობის უზრუნველყოფით. აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციის მიხედვით მოსამართლეები გამწესდებიან უვადოდ. უვადო გამწესებამდე კონსტიტუცია მოსამართლის 3 წლამდე გამოსაცდელი ვადის დაწესების შესაძლებლობას იძლევა. მიღებული კანონი აწესებს სამ წლიან გამოსაცდელ ვადას. გამოსაცდელი ვადის საკითხი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში განსხვავებულად არის რეგულირებული. დღემდე მიმდინარეობს დავა მისი მიზანშეწონილობის შესახებ. ზოგიერთი ევროპული სახელმწიფო დღემდე იყენებს ამ მექანიზმს და მოსამართლეებს უვადოდ მხოლოდ გამოსაცდელი ვადის წარმატებით გავლის შემდგომ ნიშნავს (მაგ. გერმანია, ესტონეთი და სხვა).² საფრანგეთსა და ესპანეთში მოსამართლე საქმის განხილვის უფლების მიღებამდე სპეციალურ სკოლაში (საქართველოს შემთხვევაში ასეთად შესაძლოა იუსტიციის უმაღლესი სკოლა ჩაითვალოს) 31 (საფრანგეთის შემთხვევაში) და 24 (ესპანეთის

² Esterling K. M. (1999), Judicial Accountability the Right Way: official performance evaluations help the electorate as well as the bench, in Judicature, Vol. 82, no. 5, pp. 206-215.

შემთხვევაში) თვის მანძილზე გადიან სპეციალურ ტრენინგებს. ტრენინგის ძირითადი ნაწილი პრაქტიკას მოიცავს. ამ პერიოდში ახლად დანიშნული მოსამართლის ტრენინგს გამოცდილი მოსამართლე ზედამხედველობას. მოსამართლეები, რომლებიც წარმატებით დაასრულებენ ტრენინგს, ინიშნებიან სრულფასოვან მოსამართლედ, რომელსაც ამ მომენტიდან დავის განხილვის უფლება ეძლევა. შესაბამისად ამ ქვეყნებში არ არსებობს დავის განმხილველი მოსამართლისთვის დადგენილი გამოსაცდელი ვადა.³

გამოსაცდელი ვადის შესახებ საკუთარ დასკვნებში ვენეციის კომისიაც საუბრობს. რამდენიმე ქვეყნისთვის მიმართულ რეკომენდაციაში კომისია არაერთგვაროვნად აღნიშნავს, რომ გამოსაცდელი ვადის დაწესებით შესაძლოა საფრთხე შეექმნას მოსამართლეთა დამოუკიდებლობას. ვენეციის კომისია კრიტიკულად აფასებს გამოსაცდელ პერიოდს, კომისიის განმარტებით ზოგადად გამოსაცდელი ვადა სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხს სირთულეებს უქმნის, რადგან ამ პერიოდის განმავლობაში დიდია ალბათობა, რომ მოსამართლეები გადაწყვეტილების მიღებისას ზეწოლას გრძნობენ.⁴ მეორეს მხრივ, იმავე დასკვნებში კომისია მიუთითებს, რომ შედარებით ახალი სასამართლო სისტემის მქონე ქვეყნებში, შესაძლოა არსებობდეს პრაქტიკული საჭიროება იმისა, რომ დადგინდეს შეუძლია თუ არა მოსამართლეს განახორციელოს თავისი ფუნქციები ეფექტურად მის მუდმივად დანიშვნამდე. იმ შემთხვევაში, თუ გამოსაცდელი ვადით დანიშვნა წარმოადგეს აუცილებლობას, მოსამართლეს მუდმივ დანიშვნაზე უარი უნდა ეთქვას ობიექტურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით და ისეთივე პროცედურული გარანტიებით, რომელიც მოქმედებს მოსამართლის თანამდებობიდან განთავისუფლების დროს.⁵ სპეციალურად საქართველოსთვის მიმართულ რეკომენდაციაში კი ვენეციის კომისიამ პირდაპირ მიმართა ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებას გამოსაცდელი ვადის გაუქმების რეკომენდაციით.⁶

მიგვაჩნია, რომ გამოსაცდელი ვადის დაწესება შესაძლოა ატარებდეს სასამართლო დამოუკიდებლობის შელახვის მნიშვნელოვან რისკებს. შემოთავაზებული ვერსიის სანაცვლოდ მიგვაჩნია, რომ საფრანგეთსა და ესპანეთში არსებული გამოცდილება გაცილებით მისაღებია საქართველოს რეალობაში, სადაც ჯერ კიდევ დგას სასამართლო დამოუკიდებლობის პრობლემა. ამ კუთხით არსებული რისკების აღმოფხვრის აუცილებლობა გაცილებით პრიორიტეტულია ვიდრე სხვა ფასეულობები. გამოსაცდელი ვადის დაწესებასთან დაკავშირებით საკუთარი უარყოფითი [პოზიცია](#) ⁷ დააფიქსირა არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციამაც.

მიგვაჩნია, რომ აუცილებელია მოხდეს მოსამართლეთა შერჩევისა და დანიშვნის წესების დახვეწა, დღეს არსებული მექანიზმი მნიშვნელოვან რეფორმას საჭიროებს. სამწუხაროდ მოქმედი სისტემა არ იძლევა სასამართლოს მაღალი მორალური და პროფესიული თვისებების მქონე მოსამართლეებით დაკომპლექტების გარანტიებს. შერჩევისა და დანიშვნის პროცედურა სრულად უნდა იყოს დამყარებული

³ United Nations Office for Drugs and Crime, Resource Guide on Strengthening Judicial Integrity and Capacity, New York 2011, pg. 11.

⁴ Opinion on the Draft Law on the Judiciary and the Draft Law on the Status of Judges of Ukraine Adopted by the Venice Commission at its 70th Plenary Session (Venice, 16-17 March 2007)

⁵ Opinion on the Draft Constitutional Amendments Concerning the reform of the Judicial System in "the Former Yugoslav Republic of Macedonia - Venice Commission, Opinion no. 355/2005.

⁶ Opinion on the Draft Constitutional Law on Amendments and Changes to the Constitution of Georgia - Venice Commission, Opinion no. 543/2009, Paragraph 91.

⁷ იხ. http://www.coalition.org.ge/article_files/189/Coalition_Statement_September_2013.pdf

ობიექტური შეფასების მეთოდზე, რომელშიც მოსამართლეების დანიშვნა მოხდება ქულებზე დაფუძნებული კრიტერიუმების შეფასების შედეგად. აღნიშნული ინიციატივის წარმატებით რეალიზების შემთხვევაში, ვფიქრობთ, რომ დღის წესრიგში აღარ უნდა დადგეს მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადით დანიშვნის აუცილებლობა.

სასამართლო ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს მოსამართლეთა უვადოდ გადანიშვნას ყოველგვარი გამოსაცდელი ვადისა და დამატებითი პროცედურების გარეშე. აღნიშნული ცვლილება წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციასთან. ვინაიდან კონსტიტუციური კანონი, რომლითაც ცვლილებები შევიდა კონსტიტუციაში, პირდაპირ მიუთითებს, რომ უვადოდ დანიშვნის ახალი წესი ავტომატურად არ ვრცელდება ძველ მოსამართლეებზე. შესაბამისად მიგვაჩნია, რომ ყოველი მოსამართლე, რომელსაც გაუვა უფლებამოსილების ვადა, უვადოდ დანიშვნამდე, უნდა გადიოდეს შესაბამის პროცედურას და მონაწილეობას იღებდეს ვაკანტურ ადგილზე გამოცხადებულ კონკურსში.

მუხლი 35. მოსამართლის თანამდებობის დაკავების წესი

მოქმედი რეგულაცია:

აღნიშნული მუხლი არეგულირებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლის ვაკანტურ ადგილზე კონკურსის გამოცხადებისა და მისი ჩატარების წესებს. მოქმედი რედაქციით კონკურსისთვის განცხადების შეტანის ვადა დადგენილი არ არის. განცხადებების მიღების ვადის დადგენა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს პრეროგატივაა.

იუსტიციის სამინისტროს პროექტი:

იუსტიციის სამინისტროს მიერ შემოთავაზებული კანონპროექტის მიხედვით, კონკურსის გამოცხადებისას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო განსაზღვრავს მოსამართლეობის კანდიდატების რეგისტრაციისათვის განცხადების წარდგენის ვადას, რომელიც არ უნდა იყოს 10 კალენდარულ დღეზე ნაკლები. კონკურსი ჩატარდება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მოსამართლეობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ.

ჩვენი მოსაზრება:

მიგვაჩნია, რომ წარმოდგენილი ცვლილება დადებითია. წარსულში არსებობდა გამოცდილება, როდესაც იუსტიციის უმაღლესი საბჭო კონკურსში განცხადების არაადექვატურად მცირე დროს აწესებდა. მაგალითად იყო [შემთხვევა](#) ⁸ როდესაც კონკურსში მონაწილეობის მსურველებს განცხადებების წარდგენისთვის და სათანადო დოკუმენტების მოგროვებისთვის მხოლოდ 5 დღე განესაზღვრათ. კანონის შემოთავაზებული ცვლილებები გამორიცხავს ასეთი შემთხვევების მომავალში განმეორებას და კონკურსში მონაწილეობის მსურველებისთვის გონივრული ვადების დაწესების გარანტიას იძლევა.

⁸ იხ. <http://hcoj.gov.ge/ge/old-news/590>

მუხლი 37. მოსამართლის სხვა სასამართლოს მოსამართლედ კონკურსის გარეშე დანიშვნის წესი

მოქმედი რეგულაცია:

ვაკანსიის წარმოშობის შემთხვევაში შესაძლებელია თანამდებობაზე დანიშნული მოსამართლე თავისი თანხმობით, თავისივე უფლებამოსილების ვადის ფარგლებში, კონკურსის გარეშე დაინიშნოს **ქვემდგომი, შესაბამისი ან ზემდგომი ინსტანციის** სასამართლოს მოსამართლედ.

იუსტიციის სამინისტროს პროექტი:

ვაკანსიის წარმოშობის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება თანამდებობაზე დანიშნული მოსამართლე თავისი თანხმობით, თავისივე უფლებამოსილების ვადის ფარგლებში, კონკურსის გარეშე დაინიშნოს მხოლოდ **იმავე ან ზემდგომი ინსტანციის** სასამართლოს მოსამართლედ.

ჩვენი მოსაზრება:

იუსტიციის სამინისტროს პროექტის მიხედვით ვაკანსიის წარმოშობის შემთხვევაში შესაძლებელი გახდება თანამდებობაზე დანიშნული მოსამართლე თავისი თანხმობით, თავისივე უფლებამოსილების ვადის ფარგლებში, კონკურსის გარეშე დაინიშნოს მხოლოდ იმავე ან ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში. დღეს მოქმედი რეგულაციით კი შესაძლებელია მოსამართლის დანიშვნა როგორც ზემდგომ, ასევე ქვემდგომ სასამართლოშიც. ახალი ცვლილებებით ეს შესაძლებლობა გაუქმდება. მიგვაჩნია, რომ მოცემული ცვლილება დადებითია. მოქმედი რეგულაციით დაიშვება მოქმედი მოსამართლის დანიშვნა დაბალი ინსტანციის სასამართლოში. გაურკვეველია რატომ უნდა უნდოდეს მაღალი ინსტანციის მოსამართლეს დაბალი ინსტანციის სასამართლოში გადასვლა. შესაბამისად ხშირად ჩნდებოდა მოსაზრება, რომ აღნიშნული მექანიზმი მოსამართლეზე ზეწოლის ერთ ერთი მექანიზმი შეიძლება ყოფილიყო. იუსტიციის სამინისტროს მიერ შემოთავაზებული პროექტი პრაქტიკულად აღმოფხვრის ამ ფორმით მოსამართლეზე ზეწოლის განხორციელების შესაძლებლობას და ამასთანავე ამ კუთხით მსგავსი ეჭვების გაჩენის საფუძველსაც აქრობს. გარდა ამისა, ცვლილება სისტემის ფუნქციონირებაში აღნიშნული საკითხის გაცილებით რაციონალურ და ლოგიკურ რეგულირებას უზრუნველყოფს.

მუხლი 58¹. მოსამართლეთა შორის საქმეთა განაწილება

მოქმედი რედაქცია:

სასამართლოში საქმეთა განაწილების წესს არეგულირებს “საერთო სასამართლოების შესახებ” ორგანული კანონის 30-ე მუხლი და „საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ” კანონი. დღეს მოქმედი წესით მოსამართლეთა შორის საქმეთა განაწილება წარმოებს რიგითობის მიხედვით, რომელსაც მოსამართლეთა გვარის და სახელის

გათვალისწინებით ადგენს სასამართლოს თავმჯდომარე. შესაბამისად დღეს რაიონულ და სააპელაციო სასამართლოებში საქმეები მოსამართლეთა შორის ნაწილდება საქმეთა შემოსვლის რიგისა და მოსამართლეთა რიგითობის მიხედვით.

სასამართლოს თავმჯდომარე უფლებამოსილია აუცილებლობის შემთხვევაში თავად დაავალოს მოსამართლეს კონკრეტული საქმის განხილვა რიგითობის მიუხედავად.⁹

იუსტიციის სამინისტროს პროექტი:

რაიონულ (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოებში მოსამართლეთა შორის საქმეები ნაწილდება ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით, რიგითობის წესით, რაც გულისხმობს მოსამართლეთა შორის საქმეების განაწილებას საქმეთა შემოსვლის რიგისა და მოსამართლეთა რიგითობის მიხედვით.

ჩვენი მოსაზრება:

მიგვაჩნია, რომ მოსამართლეთა შორის საქმეთა განაწილების დღეს მოქმედი წესი არ ქმნის მოსამართლეთა დამოუკიდებლობის საკმარის გარანტიებს. მოქმედი წესის წარსულში კრიტიკის საგანიც [გამხდარა](#) და მისი გამოყენების მიმართ კითხვის ნიშნებიც გაჩენილა. წარმოდგენილი ცვლილება ცალსახად გაუმჯობესებული პრინციპია. მისასალმებელია საქმეთა განაწილების ელექტრონული სისტემის შემოღების ინიციატივა. თუმცა, მიგვაჩნია, რომ იუსტიციის სამინისტროს მიერ შემოთავაზებული ცვლილებები არასრულყოფილია და მას დამატებითი რეგულირება სჭირდება. სასამართლოს თავმჯდომარეებს უნდა ჩამოერთვათ საქმეთა ერთპიროვნულად განაწილების უფლებამოსილება გამონაკლის შემთხვევებშიც კი. შესაბამისად საქმეთა განაწილება მხოლოდ ელექტრონული პროგრამის მეშვეობით უნდა ხორციელდებოდეს. აღნიშნული მიდგომა გაცილებით ობიექტურ, სამართლიან და სანდო წესს წარმოადგენს, რომელიც გამორიცხავს ყოველგვარ არამართებულ სუბიექტურ მიდგომას.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში განსახორციელებელი სხვა ცვლილებები

კანონპროექტი ითვალისწინებს მოსამართლის დაწინაურებას, რაიონული (საქალაქო) სასამართლოდან სააპელაციოში, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ იგი რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებდა 5 წელი მაინც. არსებული კანონმდებლობა ითვალისწინებს 2 წლიან გამოცდილებას (მუხლი 41).

დეპუტატ შალვა შავგულიძის მიერ წარდგენილი კანონპროექტის მიხედვით ცვლილება შედის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობის ჩამოყალიბებაში, კერძოდ, საქართველოს

⁹ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 30-მუხლის მე-5 პუნქტი

პრეზიდენტს ეძლევა უფლება დანიშნოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ერთ წევრი. პარლამენტი კონკურსის საფუძველზე, ფარული კენჭისყრით ირჩევს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 5 წევრს, ნაცვლად 6-ისა, რომელიც დღევანდელი რეგულაციათაა გათვალისწინებული. აღნიშნული ცვლილება განპირობებულია ახალი კონსტიტუციური ნორმების ამოქმედებით, სადაც პრეზიდენტს უფლება ეძლევა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში დანიშნოს ერთი წევრი.

პროექტის მიხედვით ზუსტდება ასევე ტერმინი „უმაღლესი იურიდიული განათლება“ და პარლამენტს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად შეეძლება აირჩიოს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, **მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხით/უმაღლესი განათლების დიპლომით**. იმავე მუხლს დაემატა ასევე ნაწილი, რომლითაც დარეგულირდა პრეზიდენტის მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კანდიდატის არჩევის წესები (მუხლი 47).

მომდევნო ცვლილება ეხება მოსამართლის სამართლებრივ და სოციალურ დაცვას, დეპუტატ შალვა შავგულიძის კანონპროექტის მიხედვით თუკი მოსამართლის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ემუქრება საფრთხე, მოსამართლის განცხადების საფუძველზე პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მოსამართლისა და მისი ოჯახის წევრების დაცვა. დღეს მოქმედი რეგულაციით გადაწყვეტილებას ამის თაობაზე იღებს საქართველოს პრეზიდენტი (მუხლი 68).

ჩვენი მოსაზრება:

მიგვაჩნია, რომ დადებითია ცვლილება, რომელიც შეეხება მოსამართლის დაწინაურებას. პირველ ინსტანციაში მინიმალური მუშაობის გამოცდილების ვადის ზრდა ლოგიკურია. ამასთანავე ვფიქრობთ, რომ აუცილებელია სისტემაში შემოღებულ იქნას ე.წ. კარიერული სვლის პრინციპი, რაც იმას გულისხმობს, რომ დაუშვებელი უნდა გახდეს მოსამართლეთა კანდიდატების პირდაპირ სააპელაციო სასამართლოში დანიშვნა. სააპელაციო სასამართლოში ვაკანსიის წარმოქმნის შემთხვევაში მისი შევსება პირველი ინსტანციის გამოცდილი მოსამართლეებით უნდა ხდებოდეს.

მისასალმებელია ცვლილებები, რომლებიც ეხება მოსამართლეთა სოციალური დაცვის გარანტიების გაუმჯობესებას. ამასთანავე ვფიქრობთ, რომ წარმოდგენილი ცვლილებები ამ კუთხით საკმარისი არ არის. აუცილებელია გაიზარდოს მოსამართლეთა ანაზღაურება და გაუმჯობესდეს მათი და მათი ოჯახის წევრების ჯანმრთელობის დაზღვევის პირობები, გარდა ამისა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მოსამართლეთა უსაფრთხოებასაც.

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ კანონში შესატანი მნიშვნელოვანი ცვლილებები

მუხლი 2. მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი და დისციპლინური გადაცდომის სახეები

მოქმედი რეგულაცია:

კანონის დღეს მოქმედი რედაქცია დისციპლინური გადაცდომის 8 სახეს ჩამოთვლის. მაგალითად: კორუფციული სამართალდარღვევა ან თანამდებობრივი მდგომარეობის მართლმსაჯულებისა და სამსახურებრივი ინტერესების საზიანოდ გამოყენება, საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება, მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება, სასამართლო ეთიკის ნორმების დარღვევა და სხვა.

სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენელთა კანონპროექტი:

დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს მოსამართლის მიერ სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევა.

ჩვენი მოსაზრება:

სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ შემოთავაზებული კანონპროექტი დაზუსტებას საჭიროებს. დასადგენია რა მიიჩნევა ეთიკის ნორმების დარღვევად. დღეს მოქმედი ეთიკის ნორმებით დისციპლინური პასუხისმგებლობის შემოფარგვლა დაუშვებლად მიგვაჩნია. აღნიშნული ქმედების განხორციელება მოსამართლეთა მიერ პასუხისმგებლობის არიდების მცდელობად შეიძლება ჩაითვალოს.

სამოსამართლო ეთიკის დარღვევა კანონის დღეს მოქმედ რედაქციაში დისციპლინური გადაცდომის ცალკე სახედ არის წარმოდგენილი. ეთიკური ნორმების დარღვევის გარდა, კანონის დღეს მოქმედი რედაქცია დისციპლინური გადაცდომის სხვა საკმაოდ სახიფათო სახეებს ჩამოთვლის. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ გაუმართლებელი იქნება მათი იგნორირება და ამ საკითხის ღიად დატოვება. არავინ უნდა იყოს განთავისუფლებული პასუხისმგებლობისგან, მითუმეტეს მოსამართლე, როდესაც იგი არ ასრულებს სამოსამართლო ვალდებულებებს და შეგნებულად არაჯეროვნად ახორციელებს საკუთარ ფუნქციებს.

სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ შემოთავაზებული კანონპროექტი დაზუსტებას საჭიროებს. პირველ რიგში დასადგენია რა მიიჩნევა ეთიკის ნორმების დარღვევად. მხოლოდ ამის შემდგომ შეიძლება ფიქრი დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების განმარტებაზე. დღეს მოქმედი ეთიკის ნორმებით დისციპლინური პასუხისმგებლობის შემოფარგვლა დაუშვებლად მიგვაჩნია. ცვლილების ამ სახით განხორციელება, ანუ კანონიდან დისციპლინური გადაცდომის სხვა სახეების ამოღება და მხოლოდ სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევის დატოვება უარყოფით შედეგებს გამოიწვევს. მოსამართლის მხრიდან შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ისეთი სახის ქმედებას, რასაც შედეგად საჯარო წესრიგის დარღვევა მოჰყვება. შესაბამისად, დაუშვებელია მოსამართლის მხრიდან ასეთი

ქმედების ჩადენა არ ჩაითვალოს გადაცდომად და მას არ მიენიჭოს დისციპლინური გადაცდომის კვალიფიკაცია.¹⁰

კანონის ამგვარი ცვლილებით, გამოდის, რომ იმ შემთხვევაშიც, კი თუ დადგინდა რომ მოსამართლემ უფლებამოსილება ბოროტად გამოიყენა ან/და ის მოქმედებდა არაკეთილსინდისიერად, მიკერძოებულად, მას გააჩნდა რაიმე პირადი ინტერესი ან მიიღო სარგებელი, მაშინ მის ქმედებას დისციპლინური გადაცდომის კვალიფიკაცია არ მიენიჭება. აღნიშნული პრინციპის ურყევი შესრულება, ანუ ის, რომ მოსამართლის მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას და აღნიშნული გამო მოსამართლე უნდა მიცეს პასუხისგებაში, პირდაპირ არის დაკავშირებული მოსამართლის ხელშეუხებლობისა და სასამართლოს დამოუკიდებლობის განმტკიცებასთან. შემოთავაზებული ფორმით ცვლილებების მიღება მოსამართლეთა მიერ პასუხისმგებლობის არიდების მცდელობად შეიძლება ჩაითვალოს.

მუხლი 7. დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების უფლებამოსილება

მოქმედი რეგულაცია:

დღეს მოქმედი კანონის რედაქციით მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების უფლებამოსილება გააჩნიათ:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს;
2. სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეებს;
3. საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭოს.

იუსტიციის სამინისტროს პროექტის მიხედვით:

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების უფლება ენიჭება მხოლოდ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.

ჩვენი მოსაზრება:

აღნიშნული ცვლილება ცალსახად დადებითია. იუსტიციის უმაღლესი საბჭო არის სასამართლოს ადმინისტრირების უმაღლესი რგოლი, რომლის ერთერთ ყველაზე მნიშვნელოვან კომპეტენციას წარმოადგენს მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების საკითხზე გადაწყვეტილების მიღება. შესაბამისად არ არის გამართლებული შემთხვევები, როდესაც სასამართლო სისტემის მაღალი თანამდებობის პირები პარალელურად იგივე უფლებამოსილებებით სარგებლობენ. მათი უფლება ერთპიროვნულად მიიღონ გადაწყვეტილება მოსამართლის მიმართ დისციპლინური

¹⁰ ამასთან, დამატებით, უნდა აღინიშნოს, რომ სტატისტიკურად, დისციპლინური გადაცდომების უმეტესობა უკავშირდებოდა, სწორედ ისეთი სახის გადაცდომებს, როგორცაა საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება და მოსამართლის მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება (საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის 2012 წლის, 2013 წლის [გადაწყვეტილებები](#)) და არა სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევა.

დევნის დაწყების შესახებ, ყოველთვის აჩენდა და აჩენს მრავალ კითხვის ნიშანს. ამ მნიშვნელოვან უფლებით მხოლოდ იუსტიციის უმაღლესი საბჭო უდა სარგებლობდეს. იქიდან გამომდინარე, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო კოლეგიური ორგანოა, დისციპლინური დევნის საკითხის განხილვა გაცილებით სიღრმისეულად ხდება მის წევრებს შორის. შესაბამისად კოლეგიური ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება გაცილებით სარწმუნოდ შეილება ჩაითვალოს.

მუხლი 15. მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემა ან დისციპლინური დევნის შეწყვეტა

მოქმედი რეგულაცია:

დღეს მოქმედი რეგულაციის მიხედვით, დისციპლინური საქმის გამოკვლევის დასრულების შემდეგ, დისციპლინური დევნის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი მიმართავს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წინადადებით მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის ან მის მიმართ დისციპლინური დევნის შეწყვეტის შესახებ.

იუსტიციის სამინისტროს პროექტის მიხედვით:

იუსტიციის სამინისტროს კანონპროექტის მიხედვით მდივანს ეს უფლება ერთმევა და საბჭო დისციპლინური საქმის გამოკვლევის დასრულების შემდეგ სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური დევნის შეწყვეტის ან მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ. შესაბამისად ახალი ნორმების ამოქმედების შემდგომ მდივანი ვეღარ მიმართავს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს აღნიშნული საკითხის შესახებ რეკომენდაციით.

ჩვენი მოსაზრება:

კანონის დღეს მოქმედი რედაქციის მიხედვით, წინასწარი შემოწმების შედეგად დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობას აფასებს და გადაწყვეტილებას დისციპლინური დევნის შეწყვეტის ან მოსამართლისათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი, ხოლო შემდგომ ეტაპზე - ამტკიცებს საბჭო. დისციპლინური სამართალწარმოების ეტაპების ოპტიმიზაციის მიზნით, აღნიშნული უფლებამოსილება მდივანს აღარ ექნება. ამავე მიზნის მისაღწევად მდივანს აღარ ექნება კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილება, რაც გულისხმობს დისციპლინური საქმის გამოკვლევის დასრულების შემდეგ, დისციპლინური დევნის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოსათვის წინადადებით მიმართვას მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის ან მის მიმართ დისციპლინური დევნის შეწყვეტის შესახებ. კანონპროექტის თანახმად, დისციპლინური საქმის გამოკვლევის დასრულების შემდეგ დისციპლინური დევნის შეწყვეტის ან მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ გადაწყვეტილებას უშუალოდ მიიღებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. აღნიშნული ცვლილება დადებითად უნდა შეფასდეს, თუმცა აქვე ცალსახად უნდა აღინიშნოს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის ან მის მიმართ დისციპლინური დევნის შეწყვეტის შესახებ ან კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას ერთპიროვნულად არ იღებდა, გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინებოდა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.

მუხლი 17. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დისციპლინურ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება

მოქმედი რეგულაცია:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო კანონით და საბჭოს რეგლამენტით დადგენილი წესით იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინურ საკითხებზე. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო სხდომაზე განიხილავს მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის, ასევე მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის საკითხს და ამ საკითხებთან დაკავშირებულ მასალებს. მას უფლება აქვს სხდომაზე მიიწვიოს მოსამართლე, საჩივრის (განცხადების) ავტორი, მოისმინოს მათი ინფორმაცია და ახსნა-განმარტებები.

იუსტიციის სამინისტროს პროექტის მიხედვით:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო სხდომაზე განიხილავს მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის, ასევე მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის საკითხს და ამ საკითხებთან დაკავშირებულ მასალებს. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვალდებულია სხდომაზე მოიწვიოს მოსამართლე. თუ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო საჭიროდ მიიჩნევს, სხდომაზე შესაძლოა მოწვეული იქნეს საჩივრის (განცხადების) ავტორი. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვალდებულია მოისმინოს მოწვეული პირების ინფორმაცია და ახსნა-განმარტებები.

აღნიშნული მუხლის პირველ ნაწილს ასევე დაემატა განმარტება, რომ დისციპლინური სამართალწარმოებისას ასევე გამოიყენება „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ„ კანონი.

ჩვენი მოსაზრება:

წარმოდგენილი ცვლილება დადებითად უნდა შეფასდეს. ვინაიდან იგი გაცილებით გამჭვირვალეს და სრულყოფილს ხდის დისციპლინურ წარმოებას. დღეს მოქმედი წესის თანახმად იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია მოსამართლის მოსმენის გარეშე მიიღოს გადაწყვეტილება მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის, მოსამართლის მიმართ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვის, მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის საკითხის შესახებ, რაც ჩვენი აზრით, არ არის მართებული და ვერ ჩაითვლება სამართლიან პრინციპად. ამგვარი საკითხის გადაწყვეტისას აუცილებელია მოწვეულ იქნეს ის მოსამართლეც, რომლის წინააღმდეგაც შესულია საჩივარი იუსტიციის საბჭოში. მიგვაჩნია, რომ ამ წესის დამკვიდრების შედეგად იუსტიციის უმაღლესი საბჭო გაცილებით ინფორმირებული იქნება ყოველ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით, რაც ხელს შეუწყობს ობიექტური გადაწყვეტილების მიღებას. თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თ

მოსამართლის წინაღმდეგ შემოსული საჩივრის განხილვისას აღმოჩნდება, რომ არ იკვეთება გადაცდომა და იუსტიციის საბჭო გადაწყვეტს არ მისცეს მსვლელობა საჩივრის განხილვას. აქედან გამომდინარე, უმჯობესი იქნება, რომ მოსამართლის დაბარება სავალდებულო იყოს მხოლოდ იმ შემთხვევებისთვის, როდესაც იუსტიციის უმაღლესი საბჭო მიიჩნევს, რომ საქმეში არსებობს მოსამართლის დისციპლინური საქმის წარმოების გაგრძელების საფუძველი.

უნდა აღინიშნოს, რომ არც საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის, არც საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის და არც საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ კანონის მიხედვით არ განისაზღვრება ვადა, რა ვადაშიც უნდა ჩატარდეს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომა სადისციპლინო საკითხზე. აღნიშნულ ვადას, არც ცვლილებების პაკეტი ითვალისწინებს. შესაბამისად, ცვლილება, რომელიც არეგულირებს განცხადების განხილვისა და დისციპლინური საქმის გამკვლევის ვადებს რეალური ეფექტის მომტანი ვერ იქნება, თუკი საკანონმდებლო დონეზე არ იქნება განსაზღვრული ვადა, რომლის განმავლობაშიც იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უნდა განიხილოს სადისციპლინო საკითხები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. აღნიშნული რეგულაციის არ ქონა იწვევს სადისციპლინო საკითხების განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურებას. (მაგალითად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ბოლო სხდომა სადისციპლინო საკითხებზე 2013 წლის 25 თებერვალს გაიმართა). შესაბამისად, სასურველი იქნება საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ კანონის მე-17 მუხლის 4 ნაწილს უნდა დაემატოს ცვლილება, რომელიც განსაზღვრავს დისციპლინურ საკითხებზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოწვევის ვადასა და პერიოდულობას.

მუხლი 58. სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილების ასლის გაგზავნა

მოქმედი რეგულაცია:

სადისციპლინო კოლეგიის მიერ დისციპლინური საქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ასლები მისი მიღებიდან 5 დღეში ეგზავნება მოსამართლეს, რომლის მიმართაც გამოტანილ იქნა გადაწყვეტილება, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციას.

იუსტიციის სამინისტროს პროექტის მიხედვით:

იუსტიციის სამინისტროს კანონპროექტის მიხედვით მოქმედ რეგულაციაში აღნიშნული სუბიექტების გარდა გადაწყვეტილება ასევე ეგზავნება საჩივრის ავტორსაც.

ჩვენი მოსაზრება:

ცვლილება დადებითია. მიგვაჩნია, რომ საჩივრის ავტორები წარმოადგენენ დაინტერესებულ პირებს და მათ სრული უფლება უნდა ჰქონდეთ გაეცნონ სადისციპლინო კოლეგიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. გაუმართლებელი იყო აქამდე მოქმედი წესი, რომელიც საჩივრის ავტორის აბსოლუტურ იგნორირებას ახდენდა.

ცვლილებები, რომლებიც ეხება დისციპლინური სამართალწარმოების კონფიდენციალურობას.¹¹

მუხლი 5. დისციპლინური სამართალწარმოების კონფიდენციალურობა

მოქმედი რეგულაცია:

დისციპლინური სამართალწარმოების პროცესი კონფიდენციალურია. თუ საერთო სასამართლოში აღარ მიმდინარეობს იმ საქმის განხილვა, რომელთან დაკავშირებითაც განხორციელდა დისციპლინური სამართალწარმოება, საჩივრის ავტორს გადაეგზავნება დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

იუსტიციის სამინისტროს პროექტის მიხედვით:

სამინისტროს მიერ შემოთავაზებულ პროექტის მიხედვით დისციპლინური სამართალწარმოება კონფიდენციალურია, თუ თავად მოსამართლე (ვის წინააღმდეგაც მიმდინარეობს წარმოება) არ მოითხოვს პროცესის გასაჯაროვებას.

მუხლი 51. სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილება დისციპლინური გადაცდომის ჩადენაში მოსამართლის ბრალეულად ცნობის, მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისა და მისადმი კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვის შესახებ

მოქმედი რეგულაცია:

კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია. ბარათი ეგზავნება მხოლოდ დისციპლინური გადაცდომის ჩამდენ მოსამართლეს. მისი ასლის სხვა ორგანოს ან თანამდებობის პირისათვის გაგზავნა დაუშვებელია.

იუსტიციის სამინისტროს პროექტის მიხედვით:

კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია. ბარათი ეგზავნება მხოლოდ დისციპლინური გადაცდომის ჩამდენ მოსამართლესა და საჩივრის (განცხადების) ავტორს. საჩივრის (განცხადების) ავტორი ვალდებულია ხელი მოაწეროს ხელწერილს კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსის გაუმჟღავნებლობაზე. კერძო სარეკომენდაციო ბარათის ასლის სხვა ორგანოს ან თანამდებობის პირისათვის გაგზავნა დაუშვებელია.

¹¹ ახალი ცვლილებების მიხედვით, მუხლები, რომელიც სამართალწარმოების კონფიდენციალურობას ეხება, განხილულია ერთობლიობაში.

მუხლი 58. სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილების ასლის გაგზავნა

მოქმედი რეგულაცია:

სადისციპლინო კოლეგიის მიერ დისციპლინური საქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ასლები მისი მიღებიდან 5 დღეში ეგზავნება მოსამართლეს, რომლის მიმართაც გამოტანილ იქნა გადაწყვეტილება, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციას.

იუსტიციის სამინისტროს პროექტის მიხედვით:

მოქმედ რედაქციას ასევე ემატება, დისციპლინური საქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების საჩივრის (განცხადების) ავტორისთვის გაგზავნის ვალდებულება.

მუხლი 74. სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილების ფორმა

მოქმედი რეგულაცია:

სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილების ასლი ეგზავნება საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, პროცესის მხარეებს და მათ წარმომადგენლებს ოქმი.

იუსტიციის სამინისტროს პროექტის მიხედვით:

სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება ასევე ეგზავნება საჩივრის (განცხადების) ავტორსაც.

ჩვენი მოსაზრება:

მიღებული ცვლილება დადებითი ხასიათისაა, ვინაიდან დისციპლინური სამართალწარმოების კონფიდენციალურობა გამოწვეულია მოსამართლის უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მიზეზით. თუ თავად მოსამართლე თვლის, რომ მისი საქმე უნდა განსაჯაროვდეს კანონი არ უნდა ზღუდავდეს ასეთი შესაძლებლობის აუცილებლობას. უნდა აღნიშნოს, რომ მსგავსი ცვლილებები მნიშვნელოვანი ნაბიჯია პროცესის გამჭვირვალობის გაზრდის თვალსაზრისით. კანონმდებლობის სრული კონფიდენციალურობიდან ღიაობის სასარგებლოდ შეცვლა ხელს შეუწყობს პროცესის მიმართ არსებული ინტერესის დაკმაყოფილებას. ამასთან, საჭიროების შემთხვევაში ახალი სტანდარტის პრაქტიკაში დამკვიდრების პარალელურად გამოიკვეთა დამატებითი ცვლილებების ხასიათი და მიმართულებები, კერძოდ კი აღნიშნული ცვლილებებიდან, გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მხარეს საჩივრის (განცხადების) ავტორს ერთ შემთხვევაში ეგზავნება გადაწყვეტილება მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის, მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის შეწყვეტის ან შეჩერების, მოსამართლისათვის კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვის შესახებ (მუხლი მე-5, 58-ე და 74-ე) და არ აქვს ვალდებულება მისი დაცვის, ხოლო მეორე შემთხვევაში, როცა იგი უშუალოდ იღებს კერძო ბარათს აქვს კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსის გაუმჟღავნებლობის ვალდებულება.

თუკი კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსის გაუმჟღავნებლობის მიზანი არის მოსამართლის უფლებების დაცვა, გაუგებარია, რატომ არ აქვს იგივე ვალდებულება საჩივრის (განცხადების) ავტორს იმ შემთხვევაში, როცა იგი იღებს სადისციპლინო კოლეგიის მიერ დისციპლინური საქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ან სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილების ასლებს, მაშინ როცა აღნიშნულ გადაწყვეტილებებში მიეთითება სარეკომენდაციო ბარათით მიმართვის საფუძვლები და სარეკომენდაციო ბარათით მიმართვის მიზანი, გადაცდომის არსი და მოსამართლის მიმართ გატარებული ღონისძიება. აღნიშნული უნდა დაკონკრეტდეს სხვა მუხლებშიც (მუხლი მე-5, 58-ე და 74-ე).

მიგვაჩნია, რომ დისციპლინური სამართალწარმოების პროცესი უნდა იყოს კონფიდენციალური, ხოლო ამ პროცესის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება კი საჯარო. ამ მიზნით, კანონში უნდა შევიდეს ცვლილება, რომლის მიხედვითაც გადაწყვეტილებას მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებლობაში მიცემის, მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის შეწყვეტის ან შეჩერების, მოსამართლისათვის კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვის შესახებ უნდა გადაეცეს განმცხადებელს, საჩივრის ავტორს და აგრეთვე სრულად გამოქვეყნდეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე.

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ კანონში შესატანი სხვა ცვლილებები

იუსტიციის სამინისტროს მიერ შემოთავაზებული კანონპროექტის მიხედვით მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შესახებ საჩივრის, განცხადების ან სხვა ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, მისი საფუძვლიანობის შესამოწმებლად განხილვის 1 თვიანი ვადა დგინდება. დღეს მოქმედი რეგულაციით ეს ვადა 2 თვეს შეადგენს (მუხლი 8). გაიზარდა დისციპლინური საქმის გამოკვლევის ვადა და საქმის გამოკვლევა მოსამართლისათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან 2 თვეში უნდა დასრულდეს, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 1 თვისა. მოქმედი რეგულაცია განხილვის 1 თვიან ვადას და ვადის 2 კვირიანი გაგრძელების შესაძლებლობას ითვალისწინებს (მუხლი 12).

იმავე პროექტის მიხედვით დისციპლინური საქმის განხილვასთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება დაეკისრა ასევე დისციპლინური ბრალდების წარმდგენ პირსაც (მუხლი 30). დისციპლინური საქმის განხილვის ვადა კი განისაზღვრა მიღებიდან სამი თვით, ნაცვლად დღეს მოქმედი ორი თვისა (მუხლი 31).

იუსტიციის სამინისტროს მიერ შემოთავაზებული კანონპროექტის მიხედვით გაიზარდა სადისციპლინო საქმის წარმოების შეჩერების დრო და განისაზღვრა 4 თვით (დღეს ეს ვადა 3 თვეს შეადგენს), იმ შემთხვევაში თუკი დისციპლინურ პასუხისმგებლობაში მიცემული მოსამართლე მძიმე ავადმყოფობის ან სხვა დაუძლეველი ძალის გამო ვერ ცხადდება სადისციპლინო კოლეგიის სხდომაზე. სამი წლიდან ხუთ წლამდე გაიზარდა დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების ვადა (მუხლი 41).

კანონის მოქმედი ვერსიით გაწერილია თუ რომელი დისციპლინური გადაცდომისათვის რა დისციპლინური სახდელი შეიძლება დაეკისროს მოსამართლეს, იუსტიციის სამინისტროს მიერ შემოთავაზებული პროექტის მიხედვით კი დისციპლინური გადაცდომისათვის დისციპლინური სახდელის სახით მოსამართლეს შეიძლება დაეკისროს ნებისმიერი დისციპლინური ღონისძიება (მუხლი 54').

იუსტიციის სამინისტროს პროექტმა მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებით განსაზღვრა, როგორც უკიდურესი ღონისძიება და დაადგინდა, რომ იგი გამოიყენება განსაკუთრებულ შემთხვევებში (მუხლი 56).

იუსტიციის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი კანონპროექტით 3 თვემდე გაიზარდა სადისციპლინო პალატის მიერ სადისციპლინო საქმის განხილვის ვადა, ნაცვლად დღეს მოქმედი 1 თვიანი განხილვის ვადისა. (მუხლი 64).

გაიზარდა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებაზე საჩივრის შეტანის ვადაც, 10 დღიანი ვადის ნაცვლად იუსტიციის სამინისტროს პროექტი გვთავაზობს 1 თვიან ვადას. ასევე პროექტი აწესებს, რომ გადაწყვეტილებას იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს სრული შემადგენლობის 2/3-ით (მუხლი 60). სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილების ასლი გარდა საბჭოს, პროცესის მხარეების და მათ წარმომადგენლებისა ეგზავნება ასევე საჩივრის (განცხადების) ავტორს (მუხლი 74).

ჩვენი მოსაზრებები:

აღნიშნული ცვლილებები ძირითადად დადებითი ხასიათისაა. მისასალმებელია დისციპლინური საქმის გამოკვლევისა და განხილვის ვადების ზრდა. მიგვაჩნია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში საკითხის სირთულის გათვალისწინებით დისციპლინური საქმის გარემოებების დადგენა და შემდგომ მისი განხილვა დიდ დროს მოითხოვს. მისასალმებელია ასევე სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ზრდაც. თუმცა, როგორც ზემოთ აღნიშნა, ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს განცხადების (საჩივრის) საფუძველიანობის შემოწმებას ერთვიან ვადას ან/და ცვლილება რომელიც, ითვალისწინებს, რომ დისციპლინური საქმის გამოკვლევა უნდა დასრულდეს მოსამართლისათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან 2 თვეში, საფუძველს მოკლებულია, თუკი საკანონმდებლო დონეზე არ იქნება განსაზღვრული ვადა, რომლის განმავლობაშიც იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უნდა განიხილოს სადისციპლინო საკითხები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

კანონპროექტი ასევე მიუთითებს, რომ გადაწყვეტილებას იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს სრული შემადგენლობის 2/3-ით (მუხლი 60). აღნიშნული ნორმის აუცილებლობა არ არსებობს. „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 50-ე მუხლი ადგენს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ საკითხის გადაწყვეტის წესს, რომლის მე-3 ნაწილით უკვე დადგენილია იგივე წესი, რომელსაც იუსტიციის სამინისტროს კანონპროექტი გვთავაზობს.

მნიშვნელოვანი ცვლილებები იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ საქართველოს კანონში

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დანიშნულებაა საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში მოსამართლედ დასანიშნი პირების (იუსტიციის მსმენელების) პროფესიული მომზადება, მათ შორის მათი თეორიული ცოდნის გაღრმავება და პრაქტიკული მუშაობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავება. გარდა ამისა იუსტიციის უმაღლესი სკოლა უზრუნველყოფს მოქმედი მოსამართლეების პროფესიულ გადამზადებასა და საერთო სასამართლოების სისტემაში მოსამართლის თანაშემწეობის კანდიდატისა და სხვა სპეციალისტების მომზადებასა და გადამზადებას.

მუხლები 14¹ და 18¹

მოქმედი რეგულაცია:

დღეს მოქმედი რეგულაცია არ ითვალისწინებს იუსტიციის უმაღლესი სკოლაში არსებული კონკურსის პროცედურებსა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის მექანიზმი.

იუსტიციის სამინისტროს პროექტის მიხედვით:

იუსტიციის სამინისტროს კანონპროექტის მიხედვით უმაღლესი სკოლის შესახებ კანონს ემატება ორი მუხლი. პირველი მათგანი ეხება საპრეტენზიო კომისიის შექმნას. აღნიშნული კომისია იქმნება კონკურსის პროცედურებსა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის მიზნით. საპრეტენზიო კომისიის წევრთა რაოდენობას და შემადგენლობას განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და წევრები. პროექტმა განსაზღვრა საჩივრის შეტანის წესი და ვადები, ასევე კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი. საბოლოო გადაწყვეტილებას, საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილების გათვალისწინებით იღებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

ჩვენი მოსაზრება:

საპრეტენზიო კომისიის შექმნა დადებითი ფაქტია. მიგვაჩნია, რომ გასაჩივრების მექანიზმის არსებობა მნიშვნელოვანია. თუმცა მიგვაჩნია, რომ საპრეტენზიო კომისია დამოუკიდებელი უნდა იყოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსგან. შესაძლოა იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დააკომპლექტოს კომისიის შემადგენლობა, თუმცა ამავდროულად საბჭო არ უნდა ეროდეს კომისიის საქმიანობაში. კომისია დამოუკიდებლად უნდა იღებდეს გადაწყვეტილებებს, რომლებიც სავალდებულო იქნება შესასრულებლად იუსტიციის უმაღლესი სკოლისთვის. მიგვაჩნია, რომ კანონმა პირდაპირ უნდა აკრძალოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მონაწილეობა საპრეტენზიო კომისიაში. აღნიშნული მიდგომა ხელს შეუწყობს იუსტიციის უმაღლესი სკოლისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მკვეთრ გამიჯნავს, რაც თავის მხრივ ხელს შეწყობს სკოლის დამოუკიდებლობის ზრდას.

სამწუხაროდ კანონპროექტი არ ითვალისწინებს კომისიის წევრების რაოდენობას და არც რაიმე სტანდარტს (მინიმალურ მოთხოვნებს) უწყებს მათ. მიგვაჩნია, რომ საპრეტენზიო კომისიის წევრებს მინიმალური მოთხოვნები უნდა დაუწესდეთ. მაგალითად უნდა დაწესდეს ასაკობრივი ზღვარი,

პროფესიული მოთხოვნები, სავალდებულო იურიდიული განათლება და ინტერესთა კონფლიქტის მარეგულირებელი ნორმები.

მუხლი 19: სწავლების ხანგრძლივობა

მოქმედი რეგულაცია:

სკოლაში სწავლების ხანგრძლივობა შეადგენს 10 თვე. იუსტიციის მსმენელისათვის, რომელსაც აქვს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელად, საერთო სასამართლოს აპარატის ან მისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელად, მოსამართლის თანაშემწედ, სასამართლო სხდომის მდივნად, გამომძიებლად, პროკურორად ან/და ადვოკატად მუშაობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილება, სრული სასწავლო კურსის ვადა 6 თვეა.

იუსტიციის სამინისტროს პროექტი:

იუსტიციის სამინისტროს მიერ შემოთავაზებული პროექტის მიხედვით იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სწავლების ვადა მსმენელებისათვის, 10 თვიდან 15 თვემდე გაიზრდება, ხოლო იმ მსმენელთათვის, რომელთაც საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელად, საერთო სასამართლოს აპარატის ან მისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელად, მოსამართლის თანაშემწედ, სასამართლო სხდომის მდივნად, გამომძიებლად, პროკურორად ან/და ადვოკატად მუშაობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილება აქვთ, სრული სასწავლო კურსის ვადად 10 თვე განისაზღვრება, ნაცვლად დღეს მოქმედი 6 თვისა.

ჩვენი მოსაზრება:

აღნიშნული ცვლილება დადებითად უნდა შეფასდეს. აუცილებელია, რომ სკოლაში სწავლების პერიოდში მაქსიმალური ყურადღება დაეთმოს მსმენელის უნარ-ჩვევების გაძლიერებასა და სამოსამართლო მანერების განვითარებას. აღნიშნულის ხარისხიანად განხორციელება მოკლე დროში შეუძლებელია. სასამართლო სისტემის განვითარებისთვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სისტემაში მომავალი კადრების პროფესიონალიზმსა და ცოდნას. იუსტიციის უმაღლესი სკოლა უნდა წარმოადგენდეს სასამართლოს მაღალი ხარისხის კადრებით მომარაგების გარანტს.

სხვა ცვლილებები იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ საქართველოს კანონში

პროექტის მეორე დამატებითი მუხლი ეხება იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელის პერსონალურ მონაცემებს. იუსტიციის მსმენელს უფლება აქვს გაეცნოს მის შესახებ სკოლაში არსებულ ნებისმიერ ინფორმაციას და ოფიციალურ დოკუმენტს და მიიღოს მათი ასლები, ეს უფლება მსმენელს უნარჩუნდება სკოლის დასრულების შემდეგაც, მიუხედავად იმისა, დაინიშნა თუ არა იგი მოსამართლის თანამდებობაზე. იუსტიციის მსმენელი უფლებამოსილია სკოლას მოსთხოვოს მისი პერსონალური მონაცემების (მათ შორის, დამოუკიდებელი საბჭოს შეფასების) გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ

მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ. ამ საკითხს არეგულირებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი. თავის მხრივ, სკოლა ვალდებულია არ გაამჟღავნოს (მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომობის გზით) იუსტიციის მსმენელის შესახებ ინფორმაცია და ოფიციალური დოკუმენტები მისი თანხმობის გარეშე, კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა.

კანონპროექტი მიხედვით მსმენელს ეცნობება მისი რიგითი ნომერი საკვალიფიკაციო სიაში. რიგითი ნომერი პრაქტიკულად სკოლადამთავრებული კანდიდატის რეიტინგს წარმოადგენს, რაც მისი მოსწრებისა და გამოცდაში მიღებული შედეგების შეჯამებით გამოითვლება. აღნიშნულ წესს მოქმედი რეგულაცია არ ითვალისწინებს (მუხლი 29).

ჩვენი მოსაზრება:

მიგვაჩნია, რომ სკოლის მსმენელის მონაცემების გასაჯაროების აკრძალვა დაზუსტებას საჭიროებს. იმ პირების შესახებ ინფორმაცია, რომლებმაც წარმატებულად დაასრულეს სკოლა და მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში იღებენ მონაწილეობას, ღია უნდა იყოს. ამასთან ღია უნდა იყოს ის ინფორმაცია, რომელიც მათი სკოლაში სწავლისა და ჩაბარებული გამოცდის შედეგებს შეეხება. სხვა პირადი ინფორმაციის დახურვა ლოგიკურად გვეჩვენება.

დადებითია ასევე ცვლილებები, რომელთა მიხედვითაც მსმენელს ეცნობება მის შესახებ სკოლაში არსებული ინფორმაცია, მათ შორის სკოლის შეფასებები და რიგითი ნომერი საკვალიფიკაციო სიაში. რიგითი ნომერი პრაქტიკულად სკოლადამთავრებული კანდიდატის რეიტინგს წარმოადგენს, რაც მისი მოსწრებისა და გამოცდაში მიღებული შედეგების შეჯამებით გამოითვლება. აღნიშნულ წესს მოქმედი რეგულაცია არ ითვალისწინებს. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ცვლილება ცალსახად დადებითია. საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის თანახმად, პირს უფლება აქვს იცოდეს მის შესახებ რა ინფორმაცია ინახება ადმინისტრაციულ ორგანოში. შესაბამისად სკოლის მსმენელებს სრული უფლება უნდა ჰქონდეთ გაეცნონ მათ შესახებ ინფორმაციას და ამ უფლების შეზღუდვა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას.

წინამდებარე ანგარიშის შექმნა შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“. ის არ ასახავს USAID-ის, აშშ-ს მთავრობის ან „აღმოსავლეთ დასავლეთის მართვის ინსტიტუტის“ შეხედულებებს.



მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტი